



David Vashakidze Architects

მ. დავითაშვილის ქ. №8
ტელ: +995 (32) 230 98 99
E-mail : Dvastudio@gmail.com
FB: FB.COM/DV.ASTUDIO


| | |
|---|---|
| პროექტის დასახელება | 2018_02 |
| ობიექტის მისამართი | მ. ასათიანის ქ. №21 |
| ნაკვეთის ფართობი | 0.0320 ჰა |
| მშენებლობის ფართობი | 70.6 მ² |
| სართულების რაოდენობა | 5 |
| სიმაღლე | 15.8 მ. |
| სახურავის ტიპი | ბრტყელი |
| სადრენაჟო სისტემა | შიდა |
| ავტოსადგომების რაოდენობა | 2 |




- ნაკვეთის საზღვარი
- ავტომობილის მოძრაობის მიმართულება
- ქვეითთა გადასასვლელი
- ტროტუარის დონე
- ტროტუარის დონე (ფაქტობრივი)
- ნაკვეთის საზღვრიდან უკანა ფასადამდე მანძილი
- ნაკვეთის საზღვრიდან გვერდითი ფასადამდე მანძილი

| | |
|---|---|
| პროექტის დასახელება | 2018_02 |
| ობიექტის მისამართი | მ. ასათიანის ქ. №21 |
| მესაკუთრე | |
| ნახაზის დასახელება | ფასადი |
| ნახაზის ნომერი | A602 |
| ფორმატი | |
| მასშტაბი | 1:100 |
| თარიღი | 03/08/2021 |

# ფასადი

**ფასადის მასალების და ფერადოვანი გადაწყვეტა**

ფასადი

ფასადის ფერადოვანი გადაწყვეტა

ფანჯრების, აივნის კარების, ფასადის ელემენტების ალუმინის პროფილის ფერი

ალუმინის პროფილის ფერი

ალუმინის პროფილის ფერი

# საფასადე მასალების სპეციფიკაცია

ფასადების შელესვა მოხდება დეკორატიული ლესვით "მიუნხენი" და დამუშავდება ხანმედეგი მასალით (კაპაროლის Amphisilan - კაპილარულად ჰიდროფობული, მინერალური საღებავით სილიკონის ფისის ბაზაზე).










შენობის არსებული (კომერციული) ნაწილი უკვე მოპირკეთებულია ბაზალტის ფილებით

## ALPOLIC®/FR

**ALPOLIC®/FR**

| | |
|---|---|
| გამოყენების ადგილი: | ინტერიერი |
| მასალა: | ALPOLIC®/fr / ალუმინის კომპოზიტური პანელი ( ალუკობონდი - დიბონდი ) |
| ფერი: | დაფარული ნებისმიერი RAL ფერით და ასევე ხის ფაქტურით |

| სისქე | სიგანე | სიგრძე |
|---|---|---|
| 3 მმ | 965, 1270 და 1575მმ | 7200 მმ-ზე ნაკლები |
| 4 მმ | | |
| 6 მმ | | |





ალუმინის კომპოზიტური პანელი RAL9010

ალუმინის კომპოზიტური პანელი RAL9005

საპროექტო ფასადების მოპირკეთება მოხდება ალუმინის კომპოზიტური პანელებით კომპანია "ულტრა ფასადთან" თანამშრომლობით.

ULTRA FACADE


**ულტრაფასადი**
**მის:** ქ.თბილისი, ა. წერეთლის 87გ.
**მობ: WhatsApp | Viber:** +995 595353099
**ელ-ფოსტა:** Info@ultrafacade.com
**ვებ გვერდი:** www.ultrafacade.com


პანელები

** ACP / ზომა: 1250X3200მმ ან 1500X6000მმ / 0.35 mm B1 class fire retardant Aluminium + 3.3 mm mineral core + 0.35 mm B1 class fire retardant Aluminium / მწარმოებელი: Saray- თურქეთი

(პანელების მონტაჟის ტექნიკური დოკუმენტაცია იხ. ფაილის მიმაგრების ველში)








**David Vashakidze Architects**
მისამართი : ქ. თბილისი, სანაპიროს №8
ტელ: +995 (32) 230 98 99
E-mail : Dvastudio1@gmail.com
FB: FB.COM/DV.ASTUDIO


| | |
|---|---|
| პროექტის ნომერი | 2018_02 |
| თარიღი | 03/08/2021 |
| მთ. არქიტექტორი | დავით ვაშაკიძე |
| არქიტექტორი | დავით ლაშხი |
| არქიტექტორი | ეკატერინე თევდორაშვილი |

პროექტის დასახელება:

## მრავალფუნქციური კომპლექსი

მისამართი:
ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, N 51
ს/კ : 01.13.01.020.228

## საფასადე მასალების სპეციფიკაცია

**ტექნიკურ ეკონომიკური**

| |
|---|
| საერთო |
| საცხოვრებელი |
| კომერციული |
| საოფისე |
| საზაფხულო |
| ლიფტის/კიბის უჯრ. ფართობი |
| პარკინგის |
| დამხმარე |

A409

მასშტაბი

# საფასადე მასალების სპეციფიკაცია

ქვე-სისტემები

* სისტემა LF 500 / სისტემური, თანდართული ტექნიური გადაწყვეტილებით და შესაბამისი პროექტით / მწარმოებელი: Alucom - რუსეთი

დამაგრების შესაძლებლობები

* წებო-სილიკონის დამაგრების შესაძლებლობა / მწარმოებელი: Bostik
** მოქლონებით დამაგრების შესაძლებლობა / მწარმოებელი თურქეთი




## LF 500 სისტემა

განკუთვნილია ალუმინის, კომპოზიტის, სპილენძის ან ალუმინის კასეტების შესაკრავად, სისქით 1,2- დან 4 მმ- მდე.

LF 500 170-405 – დან (1000) მმ.

გათვლა: ერთ კასეტაზე 8 უჟანგავი მოქლონი / მდგრადობის გაუმჯობესებისთვის.

დამაგრება მალული მეთოდით.

სისტემა სრულიად დაცულია კოროზიული პროცესებისგან.

ექსპლუატაციის ვადა: 100 წელი (ქარხნული გარანტია).

ქვეკონსტრუქციის სართულებს შორის დამაგრება.

სისტემას თან ახლავს ყველა საჭირო ტექნიკური დოკუმენტაცია და სერთიფიკატები.

გამოიყენება: ულტრაბონდი

- უნიკალური დაპატენტებული კრონშტეინისა და მიმმართველის კონსტრუქცია;
- წონის დატვირთვას გამძლეობის თანაფარდობასთან ვერ შევადარებთ სხვა კონსტრუქციებს, ამ სეგმენტში;
- მთლიანი ქვეკონსტრუქციის საიმედოობა არის კრონშტეინისა და მიმმართველის გაერთიანება ქანჭიკის ხარჯზე;
- კუთხის საგამაგრებელი (მილი) აქვს ორი ფუნქცია - კუთხის გამაგრების და სალაზკის ფუნქციას;
- კასეტების ასაწყობად იხარჯება ბევრად ნაკლები მოქლონი, ვიდრე ანალოგიურ კონსტრუქციებზე;
- მცირდება მონტაჟის დრო, ვენტილირებადი ფასადი მონტაჟდება სწრაფად (ადვილი აწყობის ხარჯზე);
- სისტემის დამატებითი სიხისტე არის გამოწვეული მჭიდის ხარჯზე, რომელიც აერთიანებს კასეტებს ერთმანეთთან.










David Vashakidze Architects
მისამართი : ქ. თბილისი, სანაპიროს №8
ტელ: +995 (32) 230 98 99
E-mail : Dvastudio1@gmail.com
FB: FB.COM/DV ASTUDIO

| | |
|---|---|
| პროექტის ნომერი | 2018_02 |
| თარიღი | 26/04/2021 |
| მთ. არქიტექტორი | დავით ვაშაკიძე |
| არქიტექტორი | დავით ლაშხი |
| არქიტექტორი | ეკატერინე თევდორაშვილი |

პროექტის დასახელება:
**მრავალფუნქციური კომპლექსი**
მისამართი:
ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, N 51
ს/კ : 01.13.01.020.228

## საფასადე მასალების სპეციფიკაცია

| ტექნიკურ ეკონომიკური |
|---|
| საერთო |
| საცხოვრებელი |
| კომერციული |
| საოფისე |
| საზაფხულო |
| ლიფტის/კიბის უბრ. ფართობი |
| პარკინგის |
| დამხმარე |

A410

მასშტაბი


VERONA
ვერონა
ავჭალის სახლი
80




KOHLER




KOHLER
KOHLER

# AmphiSilan (NQG)

**კაპილარულად ჰიდროფობული (ჰიდრომაიზოლირებელი), მინერალური, მქრქალი საღებავი სილიკონის ფისის ბაზაზე. კვარცული ნანოსტრუქტურებით ინტეგრირებული სილიკონის ფისის შემკვრელის ინოვაციური შენაერთი სუფთა ფასადებისთვის**

შპს „კაპაროლ ჯორჯია“
ფირმათა ჯგუფ DAW-ს საწარმო

## პროდუქტის აღწერა

Caparol Clean Concept-ის არსებული ტექნოლოგიის განვითარების ახალი ეტაპი.

**გამოყენების სფეროები**

საღებავის გადამწყვეტი უპირატესობები: ორგანულად შეერთებული კვარცული ნანო-სტრუქტურები ქმნის განსაკუთრებით მყარ სამ განზომილებიან მესერს, რომელიც უზრუნველყოფს ფასადის ხანგრძლივ სისუფთავეს და იცავს მას დაბინძურებისგან.

სილიკონის ფისის და შემკვრელის უნიკალური კომბინაცია ქმნის წვიმის მიმართ მედეგ, მაღალ დონეზე ორთქლ-გამტარ დანაფარს, რომელიც გამოიყენება ბათქაშებსა და მინერალურ ზედაპირებზე. ასევე - საღებავის მდგრად ძველ დანაფარებზე, მათ შორის, სილიკატურზე, დისპერსიულზე, სილიკონის ფისის შემცველ ბათქაშებზე და ასევე მდგრად თერმოსაიზოლაციო სისტემებზე (ETICS/EWI).

AmphiSilan აერთიანებს მაღალი ხარისხის დისპერსიული და კლასიკური სილიკატური საღებავების უპირატესობებს, რის გამოც ის იდეალური არჩევანია დაცული ისტორიული ობიექტების და კირის შემცველი ბათქაშებით დამუშავებული შენობების შესაღებად.

**თვისებები**

არა თერმოპლასტიური, მცირე შიდა დაძაბულობით, არ წარმოქმნის აპკს, მიკროფოროვანი, აგრესიული გამონაბოლქვის მიმართ მედეგი. ქმნის შრობის კაპილარულ ზონას, რის გამოც არის $CO_2$-ის გამტარი, შეიცავს სპეციალურ პიგმენტებს ფოტოკატალიტური ეფექტით (მუქი ტონალობის შემთხვევაში ამცირებს მექანიკური ზემოქმედების შედეგად გაჩენილი კვალის სიმკვეთრეს).

**საღებავის ბაზა**

სილიკონის ფისის ემულსიისა და ახალი ჰიბრიდული შემკვრელის კომბინაცია ორგანული/არაორგანული ნივთიერებების ბაზაზე.

**შეფუთვა**

- სტანტარტული: 12.5 ლიტრი
- ColorExpress: 1.25, 2.5, 7.5, 12.5 ლიტრი

**ფერი**

თეთრი

Amphisilan-ის შეფერადება შესაძლებელია, მხოლოდ შეზღუდულად, აგრეთვე მანქანური მეთოდით ColorExpress-ის სისტემის ფერთა კოლექციაში არსებულ ნებისმიერ ტონებში. 100 ლიტრის, ან მეტი ოდენობის საღებავის ფერზე დაყენებისას შესაძლებელია პროდუქტის ქარხნული წესით შეფერადება. შეამოწმეთ შეფერადებული პროდუქტი დატანამდე, რათა თავიდან იქნას აცილებული ფერში გადახრა. ერთიანი ზედაპირის შეღებვისას გამოიყენეთ იდენტური წარმოების სერიის მქონე პროდუქტი.
AmphiSilan-ი ექვემდებარება ხელით შეფერადებას AmphiColor-ის სრულტონოვანი საღებავებით, მაქსიმუმ 20% დამატებით. ფერთა სხვაობის (აჭრელება) თავიდან ასაცილებლად ხელით შეფერადებისას საჭიროა საღებავის მთლიანი რაოდენობა იქნას ერთმანეთში გულდასმით შერეული.

მკვეთრ, ინტენსიურ ფერებს გააჩნია ნაკლები დაფარვისუნარიანობა. რეკომენდებულია შუალედური ფენის დატანა შესაბამის პასტელურ ტონში, პიგმენტირებული თეთრი საღებავის ბაზაზე. შესაძლებელია საჭირო გახდეს განმეორებითი, დამასრულებელი ფენის დატანა.



**სიპრიალის ხარისხი**

მქრქალი, $G_3$

**შენახვის პირობები**

შეინახეთ გრილ ადგილას, მოარიდეთ ყინვას.

**ტექნიკური პარამეტრები**

**მახასიათებლები დამოწმებულია საერთაშორისო სტანდარტის DIN EN 1062-ის საფუძველზე:**

- ნაწილაკების მაქსიმალური (grit) ზომა: <100 $\mu m_2$, $S_1$
- სიმკვრივე: დაახლოებით 1.5 გ/სმ$^3$
- მშრალი ფენის სისქე: 100-200 $\mu m_2$, $E_3$
- დიფუზიურობის კოეფიციენტი $s_dH_2O$: ($s_d$-ფაქტორი): <0.14 მ (მაღალი) $V_1$
- წყლის შეღწევადობა (w-ფაქტორი): ≤ 0.1 [კგ/(მ$^2$ • $h^{0.5}$)] (დაბალი) $W_3$

**მხარდამჭერი პროდუქტები**

AmphiSilan-Tiefgrund LF - ღრმა გრუნტი
AmphiSilan-Putzfestiger - გასამყარებელი გრუნტი
AmphiSilan-Grundierfarbe - ადჰეზიური გრუნტი
AmphiSilan-Compact - შუალედური დაფარვისთვის
AmphiSilan-Volltonfarben - სრულტონიანი საღებავები

შეფერადების შემთხვევაში შესაძლოა მოხდეს ტექნიკური პარამეტრების უმნიშვნელო ცვლილება.

## გამოყენება

**შესაფერისი ზედაპირები**

ზედაპირი უნდა იყოს მშრალი, სუფთა და თავისუფალი ადჰეზიური ნივთიერებებისაგან.

**ზედაპირის მომზადება**

**ახალი და ძველი, მოქმედი თბისაიზოლაციო სისტემები აკრილის და სილიკონის ფისის, კირის (PIc), ან კირ-ცემენტის შემკვრელის შემცველი ბათქაშების (P II) ზედაპირები, DIN EN 998-1-ის თანახმად: 1 N/მმ$^2$:**
ძველი ბათქაშები გაიწმინდოს შესაბამისი სველი მეთოდით. წყლის ჭავლით გასუფთავებისას წყლის მაქსიმალური ტემპერატურა 60°, მაქსიმალური წნევა-60 ბარ. წმენდის შემდეგ გაშრეს საფუძვლიანად. ზედაპირის თავისებურებების გათვალისწინებით დაიფაროს Amphisilan-ის პროდუქტებით.

**ბათქაშები: PIc, PII და PIII ჯგუფის ცემენტის ხსნარის ბათქაშები ან სილიკატური ბათქაში, DIN EN 998-1-ის თანახმად: 1 N/მმ$^2$:**
ახლად დატანილი ბათქაში უნდა დამუშავდეს მინიმუმ 2 კვირის შემდეგ, დაახლოებით 20° C და 65%-იანი ჰაერის ტენიანობის პირობებში. არახელსაყრელი ამინდის, მაგალითად ქარის ან წვიმის დროს ბათქაშის შრობის დრო იზრდება. დამატებით CapaGrund Universal გრუნტის გამოყენებით PIc, PII და PIII ჯგუფის ცემენტის ხსნარის ბათქაშებზე მცირდება მარილის გამოტანის რისკი, რის შემდეგაც საბოლოო ფენის დატანა შესაძლებელი ხდება უკვე 7 დღეში.

**ძველი ბათქაში:**
შერემონტებული ადგილები უნდა გაშრეს და გამაგრდეს. ფოროვანი და მაღალი შეწოვის მქონე ბათქაში, რომელიც მცირედ იცარცება, უნდა დამუშავდეს AmphisSilan-Tiefgrund LF-ით, ინტენსიურად ცარცვადი და ქვიშანაყარი ბათქაშები საჭიროებს ღრმად დაგრუნტვას AmphiSilian-Putzfestiger-ით.

**ახალი სილიკატური ბათქაშები:**
დაიფაროს სილიკატური Sylitol® ხაზის პროდუქტებით.

**არსებული/ძველი სილიკატური საღებავები და ბათქაშები:**
მოიწმინდოს მექანიკური საშუალებებით, ან წყლის მაღალი ჭავლით, შესაბამისი წესების დაცვით. არამდგრადი, ფუყე ადგილები ჩამოიფხიკოს/მოიშალოს. დატანილ იქნას გასამყარებელი საგრუნტავი მასალა - AmphiSilan-Putzfestiger-ი.

**წყალდისპერსიული, ან სილიკონის ფისის შემცველი ბათქაშის მზიდი ზედაპირები:**
ძველი ზედაპირები მოიწმინდოს შესაბამისი მეთოდით და კარგად გაშრეს შემდგომი დამუშავებისათვის. დაიგრუნტოს AmphiSilan-Grundierfarbe-ით, ან გასამყარებელი AmphiSilan-Putzfestiger-გრუნტით. ახალი ბათქაშები ხელოვნური ან სილიკონის ფისის ბაზაზე იფარება წინასწარი დამუშავების გარეშე.

**წყალდისპერსიული საღებავით დაფარული მზიდი ზედაპირები:**
პრიალა ზედაპირი გაიშლიფოს ხაოიანი სტრუქტურის მისაღებად. ცარცვადი და დაბინძურებული ადგილები გაიწმინდოს წყლის მაღალი წნევის ჭავლით, სათანადო წესების დაცვით. გაშრობის შემდეგ დავიტანოთ ერთი პირი გრუნტი AmphiSilan-Grundierfarbe. სხვა ტიპის მოწმენდის შემთხვევაში (ქიმიური წმენდა, რკინის ჯაგრისით მოხეხვა) - დამუშავდეს გრუნტით AmphiSilan-Putzfestiger.

**ემალის, წყალდისპერსიული საღებავის, ან სინთეტიკური ფისის შემცველი ბათქაშის არამზიდი ზედაპირები:**
მთლიანად მოიხსნას ზედაპირი შესაბამისი საშუალებებით, მაგალითად მექანიკური საშუალებებით, ან ზედაპირის ღრმა დაკაწვრით, გაიწმინდოს წყლის მაღალი ჭავლით ნორმების შესაბამისად. დამუშავდეს AmphiSilan-Grundierfarbe გრუნტით. თუ ზედაპირი იცარცება ან იშლება, მაშინ გამოყენებულ უნდა იქნას გრუნტი AmphiSilan-Putzfesitger. შუალედური დაფარვისათვის - გრუნტი AmphiSilan-Compact-ი.

**მოსაპირკეთებელი აგურის ზედაპირი:**
შემდგომ დამუშავებას ექვემდებარება მხოლოდ ყინვაგამძლე აგური, რომელიც არ შეიცავს სხვა მინარევებს. აგურებს შორის არ უნდა იყოს ბზარები და მარილის ნალექი. დამუშავდეს გასამყარებელი გრუნტით - AmphiSilan-Putzfestiger.
თუ შუალედურ ფენაზე (AmphiSilan, AmphiSilan-Compact) გაიჩინა ყავისფერი ლაქები, საბოლოო დასაფარად გამოიყენება Duparol-ი.

**სილიკატური აგურის ზედაპირი:**
შემდგომ დამუშავებას ექვემდებარება მხოლოდ ყინვაგამძლე აგური, რომელიც არ შეიცავს სხვა მინარევებს. აგურთა შორის არ უნდა იყოს ბზარები. გასუფთავდეს ცარცვადი ადგილები. გამოსული მარილები მოიწმინდოს მშრალი რკინის ჯაგრისით.
დამუშავდეს ღრმა გრუნტით - AmphiSilan-Tiefgrund LF. შუალედური დამუშავებისათვის გამოიყენეთ AmphiSilan-Compact.

**სოკოთი ან წყალმცენარეებით დაბინძურებული ზედაპირი:**
უნდა დაიფაროს ფუნგიციდური და ალგიციდური დანამატების შემცველი საღებავით - ThermoSan.

**მარილის ლაქების მქონე ზედაპირები:**
მარილიანი ლაქები მოიწმინდოს მშრალი რკინის ჯაგრისით.
დატანილ იქნას გასამყარებელი გრუნტის ერთი ფენა - AmphiSilan-Putzfestiger-ი.
დროთა განმავლობაში ზედაპირზე შესაძლოა მოხდეს მარილების განმეორებითი გამოტანა.

**ზედაპირები მცირე დეფექტებით:**
მცირე დეფექტები გასწორებულ/ამოვსებულ იქნას ფითხით AmphiSilan Fassaden-Feinspachtel-ით, უფრო ღრმა დეფექტები 20 მმ-მდე - დამუშავდეს Histolith-Renovierspachtel-ით და მოგვიანებით დატანილ იქნას გრუნტი.

**დატანის მეთოდები**

დატანილ იქნას სამღებრო ფუნჯით ან გორგოლაჭით. უჰაერო მიფრქვევის შემთხვევაში დადებითი რეზულტატის მისაღებად რეკომენდირებულია AmphiSilan-ის გამოყენება NespriTec-ის კონსისტენციით.

**დაფარვის სტრუქტურა**

ზედაპირის დასაგრუნტად და შუალედური ფენისათვის გამოიყენება AmphiSilan-Plus, გაზავებული მაქსიმუმ 10% წყლით. ხაოიანი და მაღალი შეწოვადობის მქონე ზედაპირების დაფარვისას სასურველია მეტი გაზავება. გაზავების ხარისხი ისაზღვრება სასინჯი დაფარვით. არათანაბარი ბათქაშის გასწორება/გათანაბრების და ბზარების ამოვსების მიზნით დატანილ უნდა იქნას შუალედური ფენა AmphiSilan-Compact-ი, გაზავებული მაქსიმუმ 5-10% სასმელი წყლით.
ზედაპირული ფენებისთვის გამოიყენება AmphiSilan-Plus, მაქსიმუმ 5 – 10% წყალთან.
ინტენსიური ტონების შემთხვევაში, ფერებში სხვაობის თავიდან აცილების მიზნით, დამასრულებელი ფენისთვის საღებავი ზავდება 10% წყალთან.
ფენების დატანას შორის დროის შუალედი შეადგენს მინიმუმ 12-საათს.

**ხარჯი**

დაახლოებით 150-200 მლ/მ²-ზე ერთ ფენაზე. ფაქტურული ზედაპირის შემთხვევაში მოსალოდნელია ხარჯის ზრდა. ზუსტი ხარჯის გასაგებად საჭიროა არსებულ ზედაპირზე საცდელი დატანა.

**გამოყენების პირობები**

**მინიმალური ტემპერატურა გამოყენებისა და შრობის პროცესში:**
ჰაერისა და ზედაპირის მინიმალური ტემპერატურა უნდა იყოს +5 C.

**შრობის დრო**

20° C და 65%-იანი ჰაერის ტენიანობის პირობებში - მომდევნო ფენის დატანა შესაძლებელია 12 საათში. ბოლომდე მშრალია 2-3 დღეში. დაბალი ტემპერატურისა და ჰაერის მაღალი ტენიანობის შემთხვევაში შრობის დრო იზრდება.

**ხელსაწყოების წმენდა**

გამოყენების შემდეგ ხელსაწყოები გაირეცხოს წყლით.

**შენიშვნა**

დიდი ფართობის მქონე ზედაპირებზე, შეერთების ადგილებზე განსხვავებული ფერის გაჩენის გამოსარიცხად, საღებავი დაიტანეთ ერთი მოსმით, „სველი-სველზე“ პრინციპით.

არასტანდარტულ კლიმატურ პირობებში, მაღალი ტენიანობის, ან მაღალი ატმოსფერული დატვირთვების ქვეშ არსებული ობიექტების ფასადებისთვის რეკომენდირებულია ჩვენი სპეციალური პროდუქტი ThermoSan-ი, რომელიც შეიცავს ნივთიერებებს სოკოებისა და წყალმცენარეების წინააღმდეგ.

მუქ ფერებში კოლირებისას, ისევე როგორც ყველა მქრქალი საღებავის შემთხვევაში, მექანიკური გახაზვა იწვევს შედარებით ღია კვალის გაჩენას ზოლებად. Amphisilan-ში, ფოტოკატალიტური პიგმენტების შემცველობის გამო, ეს თვისება ნაკლებად არის გამოხატული.

არახელსაყრელი ამინდის პირობებში, შენელებული შრობის გამო მყარ და გრილ ზედაპირებზე შესაძლებელია დროებით გაჩნდეს მოყვითალო, გამჭვირვალე წებოვანი ლაქები, რომელიც წვიმის ზემოქმედებით, დროთა განმავლობაში თავისით ქრება და არ მოქმედებს ზედაპირის ხარისხზე! თუ ზედაპირი საჭიროებს აუცილებელ გადამუშავებას, ლაქები უნდა დასველდეს, მოირეცხოს და შემდგომ დამუშავდეს CapaGrund Universal-ის გრუნტით.
ხელსაყრელ კლიმატურ პირობებში ასეთი ლაქები არ ჩნდება.

## შენიშვნები

**ყურადღება**

შეინახეთ ბავშვებისათვის მიუწვდომელ ადგილას. არ შეისუნთქოთ წარმოქმნილი „ღრუბელი“. მუშაობის პროცესსში იზრუნეთ მუდმივ განიავებაზე. არ ჭამოთ, არ დალიოთ და არ მოწიოთ ამ პროდუქტით მუშაობისას. კანზე ან თვალებში მოხვედრის შემთხვევაში კარგად დაიბანეთ წყლით. ნუ დაუშვებთ პროდუქტის წყალსადენებში და ნიადაგში მოხვედრას. შეიცავს 1,2 ბენზიზოთიაზოლ-3(2H)-on-ს, 5-ქლორ-2-მეთილ-2H-იზოთიაზოლ-3-on-სა [EG Nr. 247-500-7] და 2მეთილ-2H-იზოთიაზოლ-3-on-ის ნარევს [EG Nr. 220-239-6] (3:1), 2-მეთილ-2H-იზოთიაზოლ-3-on-ს. შესაძლოა გამოიწვიოს ალერგიული რეაქციები.

**უტილიზაცია**

მეორადი გადამუშავებისათვის ჩააბარეთ მხოლოდ ცარიელი შეფუთვა. საღებავის ნარჩენი თხევადი მასა შესაძლებლია უტილიზირებულ იქნას როგორც წყალდისპერისული საღებავის დანაკარგი, გამხმარი ნარჩენი კი - როგორც გამხმარი საღებავი ან სამშენებლო ნაგავი.

**აქროლადი ორგანული შენაერთების ზღვრული კონცენტრაცია ევროკავშირის სტანდარტის შესაბამისად (VOC)**

პროდუქტის კატეგორია (A/c): 40 გ/ლ (2010). ეს პროდუქტი შეიცავს მაქსიმუმ 30 გ/ლ აქროლად ორგანულ ნივთიერებებს (VOC).

**პროდუქტის კოდი საღებავები და ემალები**

GISCODE: AmphiSilan NQG თეთრი და CX AmphiSilan NQG: BSW20

**შემადგენლობა**

თეთრი:
ჰიბრიდული-შემკვრელი (ორგანო-სილიკატი/აკრილატი), ტიტანის დიოქსიდი, სილიკატები, კალციუმის კარბონატი, წყალი, მიზნობრივი ადიტივები, დამცველი, აპკის მაფორმირებელი, კონსერვანტები (მეთილიზოთიაზოლინონი, ბენზიზოთიაზოლინონი).

ფერადი:
ჰიბრიდული-შემკვრელი (ორგანო-სილიკატი/აკრილატი), მინერალური პიგმენტები და შემავსებლები, წყალი, მიზნობრივი ადიტივები, დამცველი, აპკის მაფორმირებელი, კონსერვანტები (მეთილიზოთიაზოლინონი, ბენზიზოთიაზოლინონი).

**ტექნიკური კონსულტაცია**

მოცემული ტექნიკური ინფორმაციის ფარგლებში შეუძლებელია მოცემული იქნას რჩევა პრაქტიკაში არსებული ყველა ზედაპირის და მათი დამუშავების შესახებ.
იმ შემთხვევაში, თუკი დასამუშავებელი ზედაპირი არ არის შესული ამ ინფორმაციაში, კონსულტაციისათვის მიმართეთ Caparol-ის ოფისს, ან ადგილს, სადაც მოხდა პროდუქტის შეძენა. კომპანია Caparol-ი სიამოვნებით გაგიწევთ კონსულტაციას კონკრეტულ შემთხვევასთან დაკავშირებით.

**შპს კაპაროლ ჯორჯია**
ალ. ქართველიშვილის ქ. N8, 0198 თბილისი საქართველო, ელ-ფოსტა: office@caparol.ge